სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის

ბრძანება № 11

2013 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის ერთობლივი კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის პირობების და პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების ფორმების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის N104/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" „ე“, „ე[1]“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2013 წლის 13 მარტის N1 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2013 წლის 25 მარტს საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის ერთობლივი კონკურსი. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში საპროექტო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 31 ივლისი 18:00;

2. დამტკიცდეს „ საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის ერთობლივი კონკურსის“ პირობები ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

3. დამტკიცდეს „პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირებისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

5. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი _____

შეთანხმებულია:

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი _____

ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის
უფროსი მალხაზ ხოფერია _____

სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის
უფროსი ირაკლი ნოსელიძე _____

მონიტორინგის დეპარტამენტის
უფროსი მირიან ბიჭიკაშვილი _____

გენერალური დირექტორის მოადგილე კარლო ლაფერაძე _____

ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე:www.rustaveli.org.ge;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

დანართი N1
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2013 წლის ---25--- ---მარტი---
№ ---14--- ბრძანებით

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის ერთობლივი კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ერთობლივი სამეცნიერო გრანტების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია:

ა) მეცნიერების სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოება და ქართველ მეცნიერთა კვლევების დონის ამაღლება;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ კვლევებში აქტიური ჩართვა და ევროპულ კვლევით სივრცეში მათი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

2. კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩევა სამეცნიერო პროექტები შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა (შემდგომში – ფონდი) და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში – CNRS) შორის შეთანხმებული შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან:

ა) მათემატიკა, მექანიკა;

ბ) ფიზიკა;

გ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები.

3. კონკურსი იმართება ღიად და საჯაროდ, გამჭვირვალე კონკურენტულ გარემოში, დამოუკიდებელ მაღალკვალიფიციურ ექსპერტიზაზე დაყრდნობით.

4. კონკურსი ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის N104/ნ ბრძანებისა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსს ადმინისტრირებას ერთობლივად უწევენ ფონდი და CNRS (შემდგომში - დამფინანსებელი მხარეები).

2. პროექტის მონაწილე ქართველ მეცნიერთა (გრანტის მიმღებთა) დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი.

3. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) CNRS-თან შეთანხმებით კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) CNRS-თან შეთანხმებით კონკურსის გამართვის წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე,

საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

გ) პროექტების შეფასებას დამოუკიდებელ ადგილობრივ ექსპერტთა მეშვეობით;

დ) CNRS-ისა და ადგილობრივ ექსპერტთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროექტების დამტკიცებას დასაფინანსებლად;

ე) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი შესრულების მონიტორინგს.

4. დამფინანსებელი მხარეები წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს მიღებული (რეგისტრირებული) საპროექტო წინადადებების შესახებ.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდსა და CNRS-ში ერთობლივი განაცხადი შემოაქვს ქართველი და ფრანგი მეცნიერებისგან შემდგარ ჯგუფს.

2. პროექტში მონაწილე როგორც ქართულ, ასევე ფრანგულ ჯგუფს ჰყავს, შესაბამისად, ქართველი და ფრანგი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

3. პროექტში დაგეგმილი კვლევის საქართველოში განსახორციელებელი ნაწილი სრულდება საბაზო ორგანიზაციაში.

4. საბაზო ორგანიზაცია შესაძლოა იყოს: საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კონკურსში საბაზო ორგანიზაციის სტატუსით მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

5. საქართველოს მხრიდან პროექტის მონაწილე შეიძლება იყოს: მაგისტრანტი, დოქტორანტი, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე.

6. საქართველოს მხრიდან პროექტში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სულ მცირე ერთი ახალგაზრდა (40 წლამდე) მეცნიერის მონაწილეობა და მისი (მათი) CNRS-ის პარტნიორ ორგანიზაციაში წელიწადში 2-დან 3 თვემდე ვადით მივლინება.

მუხლი 4. საკონკურსო პროექტების ფორმატი

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 24 თვე.

2. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ევროს ეკვივალენტს ლარებში.

3. ფონდის მხრიდან პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება გრანტის მიმღები ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე. თითოეული ტრანშის ოდენობა მითითებული უნდა იყოს პროექტის ბიუჯეტში. ტრანშების მოცულობა იგეგმება შესაბამის პერიოდში/ეტაპზე პროექტში განსახორციელებელი საქმიანობის მიხედვით. თითოეული პერიოდის ხანგრძლივობა 12 თვეა.

4. ფონდის მხრიდან პირველი ტრანში, ავანსის სახით, გაიცემა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. მომდევნო ტრანში - წინა ტრანშით გათვალისწინებული შედეგების შესრულების შესახებ ფონდში წარმოდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე.

მუხლი 5. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება

ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) გრანტის მიმღები ფიზიკური პირების საგრანტო დაფინანსება;

ბ) მივლინება: სამივლინებო ხარჯები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად;

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ფონდში წარმოდგენა ელექტრონული სახით კომპაქტდისკზე (CD-R) კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ფიზიკური პირებისა და საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ერთობლივ განცხადებასთან ერთად;

გ) შემოსული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) პროექტების შეფასება ადგილობრივ დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;

ე) 80 ქულაზე მეტი საშუალო შეფასების მქონე პროექტების რანჟირებული სიის გადაგზავნა CNRS-ში;

ვ) რანჟირებული სიიდან CNRS-ის მიერ შერჩეული სამი პროექტის ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცება;

ზ) დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირებთან და საბაზო ორგანიზაციებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. პროექტის ქართველი და ფრანგი სამეცნიერო ხელმძღვანელები წარადგენენ ერთობლივ საპროექტო წინადადებას ფონდსა და CNRS-ში, შესაბამისად. ფონდში ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს „პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირებისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება“ (დანართი 2).

2. პროექტი მზადდება შესაბამისი ფორმით (დანართი 3) და ფონდში მისი წარდგენა ხდება ელექტრონული სახით კომპაქტდისკზე (CD-R).

3. პროექტების წარდგენა შესაძლებელია 2013 წლის 25 მარტიდან 2013 წლის 31 ივლისის 18 საათამდე. მითითებული ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

4. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 8. პროექტების შეფასება

1. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

2. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფონდის მიერ შესაფასებლად გადაეცემა სულ ცოტა ორ დამოუკიდებელ ადგილობრივ ექსპერტს. 20 ქულაზე მეტი განსხვავების შემთხვევაში პროექტი ეგზავნება მესამე ადგილობრივ ექსპერტს. მიღებული სამი შეფასებიდან დაწყვილდება ერთმანეთთან ყველაზე ახლო მდგომი ორი შეფასება და მათი საშუალო არითმეტიკული იქნება პროექტის საბოლოო შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ სამი შეფასებიდან უმცირესი და უმაღლესი შეფასება თანაბრად განსხვავდება საშუალო შეფასებიდან, პროექტის საბოლოო შეფასებად ჩაითვლება საშუალო შეფასება (მაგალითად, თუ პროექტის შეფასებებია 60, 80 და 100 ქულა, საბოლოო შეფასებად ჩაითვლება 80 ქულა).

3. ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია. იმ პროექტების რანჟირებული სია, რომლებმაც ადგილობრივ დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების გასაშუალოების შედეგად მიიღეს არანაკლებ 80 ქულისა, გადაიგზავნება CNRS-ში, სადაც მოხდება 3 პროექტის შერჩევა. CNRS-ის მიერ შერჩეული 3 პროექტის სია დასამტკიცებლად გადაეცემა ფონდის სამეცნიერო საბჭოს.

4. პროექტის მონაწილეთა მიერ მოთხოვნის შემთხვევაში მათ პროექტზე გაკეთებულ საექსპერტო დასკვნების გაცნობას უზრუნველყოფს ფონდი.

5. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, ასევე პროექტის დასრულებიდან 3 წლის მანძილზე, პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიში, დოკუმენტაცია და პროექტის შედეგები დაუქვემდებაროს დამოუკიდებელ სამეცნიერო ექსპერტიზას.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია ექსპერტი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს სამეცნიერო საბჭოს ის წევრი ან იყოს ექსპერტი პირი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო–კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. სამეცნიერო საბჭოს წევრი და ექსპერტი ვალდებულია სამეცნიერო საბჭოს/ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო

საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 10. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე ქართველ მეცნიერებთან და საბაზო ორგანიზაციებთან.

2.პროექტის შესრულების დროს გრანტის მიმღების მიერ შექმნილ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.

3.ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არა უგვიანეს 20 დღით ადრე წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის ფონდიდან მოთხოვნილი ბიუჯეტის 5% ფარგლებში.

მუხლი 11. საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული საგრანტო პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგი ხორციელდება გრანტის მიმღების ფიზიკური პირებისა და CNRS-ს მიერ მოწოდებულ წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე.

4. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცემა ფონდს საკუთრებაში.

6. საგრანტო პროექტი ჩაითვლება დასრულებულად თუ საგრანტო პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში წარმოდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

დანართი N2
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2013 წლის 25 ივლისი
№ 14 ბრძანებით

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსის

პირობები

პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირებისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი

განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით "საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის" შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის 104/ნ ბრძანებას, აგრეთვე, „საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის ერთობლივი კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის პირობების და პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის ------- ბრძანებას და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდში ელექტრონული სახით კომპაქტდისკზე (CD-R) წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, საბაზო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ვადასტურებ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. ვაცნობიერებთ, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში.

1. პროექტის სახელწოდება: _____
2. პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევროში): _____

მათ შორის:
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევროში): _____
3. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები): _____
4. პროექტის წარმომდგენნი:

ა)

საბაზო ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი:

ბ)

	პროექტში მონაწილე ქართველ მეცნიერთა ჯგუფის წევრები (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
1.		სამეცნიერო ხელმძღვანელი	
2.			
3.			

დანართი №3

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2013 წლის 23 ივნისი
№ 11 ბრძანებით

CNRS-SRNSF 2013
საპროექტო წინადადების ფორმა

პროექტის დასახელება:	სამეცნიერო მიმართულება:
საკვანძო სიტყვები *(მაქსიმუმ 5):*	
პროექტის ხელმძღვანელი CNRS-ის მხრიდან (სახელი, გვარი, თანამდებობა და სამეცნიერო წოდება):	პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან (სახელი, გვარი, თანამდებობა და სამეცნიერო წოდება):
CNRS-ის ინსტიტუტი/ლაბორატორია:	საქართველოს ინსტიტუტი/უნივერსიტეტი:
ინსტიტუტის/ლაბორატორიის ტელეფონი:	ინსტიტუტის/ლაბორატორიის ტელეფონი:
ინსტიტუტის/ლაბორატორიის ელფოსტა:	ინსტიტუტის/ლაბორატორიის ელფოსტა:
უახლესი სამეცნ. პუბლიკაცია *(მაქსიმუმ 10)*	უახლესი სამეცნ. პუბლიკაცია *(მაქსიმუმ 10)*
მონაწილეთა მოკლე პირადი მონაცემები*: *(მაქს. 150 სიტყვა)*	მონაწილეთა მოკლე პირადი მონაცემები*: *(მაქს. 150 სიტყვა)*
პროექტის მონაწილეები:	
სახელი და გვარი:	*სახელი და გვარი:*
სამეცნიერო სტატუსი: (წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, ახალგაზრდა მეცნიერი - 40 წლამდე, PhD სტუდენტი, სხვა)	*სამეცნიერო სტატუსი: (წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, ახალგაზრდა მეცნიერი - 40 წლამდე, PhD სტუდენტი, სხვა)*
კაც-თვე:	*კაც-თვე:*
სრული საფოსტო მისამართი: *ტელეფონი (ბინა, სამსახური, მობილური), ელფოსტა:*	*სრული საფოსტო მისამართი:* *ტელეფონი (ბინა, სამსახური, მობილური), ელფოსტა:*
პროექტის შინაარსი *(აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, მეთოდიკა, მოსალოდნელი შედეგები, კვლევის შემდგომი გაფართოვებისა და მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები)*	

მოთხოვნილი თანხები			
დაფინანსირების წყარო	პირველი წელი	მეორე წელი	რეგისტრაციის (ეროვნული) კოდი

CNRS	*(3,500 ევრომდე)*	*(3,500 ევრომდე)*	
ფონდი	*(10,000 ევრომდე)*	*(10,000 ევრომდე)*	
სხვა წყაროები			

მეცნიერთა გაცვლა**

გამგზავნი ორგანიზაცია	**მივლინებული მეცნიერის სახელი, გვარი**	**სავარაუდო თარიღები და ხანგრძლივობა**

კონფერენციებში, სემინარებსა და საზაფხულო სკოლებში შესაძლო მონაწილეობა:

<u>ტექნოლოგიების ტრანსფერის, პროგრამების შექმნის, დაპატენტებისა და ლიცენზირების, სამრეწველო სექტორთან ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობა</u>

პროექტის შეფასება
(გთხოვთ არ შეავსოთ!)

A	**B**	**C**

შემფასებლის კომენტარი

CNRS-ის ლაბორატორიის/ინსტიტუტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი **ხელმოწერა და ბეჭედი**	**CNRS-ის მხრიდან პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:**	**თარიღი:**
საქართველოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი **ხელმოწერა და ბეჭედი**	**საქართველოს მხრიდან პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:**	**თარიღი:**

*) საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას ცალკე ფორმა დანართის სახით
**) სამუშაოდ მივლინებული მკვლევარები ხელს აწერენ კონფიდენციალობის შესახებ შეთანხმებას

პროექტის ბიუჯეტი

№	ხარჯვის კატეგორიების ჩამონათვალი	პირველი ტრანში	მეორე ტრანში	სულ
1	გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირთა საგრანტო დაფინანსება			
2	მივლინება			
	ქვეყნის შიგნით			
	ქვეყნის გარეთ			
	სულ			

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

გთხოვთ, გამოსახოთ პროექტის განხორციელების გეგმა თქვენი პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე *(ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ნიმუში, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩაუმატეთ ან ამოიღეთ შესაბამისი პუნქტები). სავალდებულოა მხოლოდ ფონდში ანგარიშების წარდგენის პერიოდულობის დაცვა)*

	სამუშაოები	კვარტალი							
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1.	*საკვლევი მასალების მომზადება*								
2	*კვლევის ჩატარება საქართველოში*								
3.	*კვლევის ჩატარება საფრანგეთში*								
4.	*მივლინება საზღვარგარეთ*								
5.	*მივლინება ქვეყნის შიგნით*								
6.	*კვლევის შედეგების დამუშავება და გამოქვეყნება*								
7.	*ანგარიშების წარდგენა*				*XXX*				*XXX*

<u>პროექტის მონაწილის პროფესიული ბიოგრაფია (CV)</u>

შეავსეთ მოცემული თანმიმდევრობით (არაუმეტეს ორი გვერდისა)

1. სახელი, გვარი

2. განათლება*

	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
1				
2				

3. სამუშაო გამოცდილება*

	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტის/განყოფილების დასახელება	ორგანიზაციის დასახელება
1				
2				

4. პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-სა)*

	წელი	პუბლიკაციის დასახელება	ჟურნალის დასახელება, ტომი, ნომერი (გამომცემლობა)	პუბლიკაციის სახე (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო)
1				
2				

5. გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-სა)*

	წელი	დასახელება	სადაა დაცული (მიუთითეთ ქვეყანა)
1			
2			

6. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (არაუმეტეს 5-ისა)*

	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დაფინანსების წყარო
1				
2				

7. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (არაუმეტეს 5-ისა)*

	წელი	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი
1				
2				

8. უცხო ენების ცოდნა (აღნიშნეთ შესაბამისი გრაფა)*

	ენის დასახელება	საშუალოდ	კარგად	თავისუფლად
1.				
2.				

9. დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებრ (ჯილდოები, სტიპენდიები, სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციების წევრობა და სხვა)

საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები

PROJECT FORM
CNRS / SRNSF (Call 2011)



Project title:	**Scientific field:**
Keywords:	
CNRS project leader (full name, title, position/occupation):	**Georgian project leader (full name, title, position/occupation):**
Institution: **CNRS Institute:**	**Institution:** **Georgian Institute:**
Telephone:	**Telephone:**
E-mail:	**E-mail:**
Recent key publications (max. 10):	**Recent key publications (max. 10):**
Short CV of participants* ***(maximum 150 words):***	**Short CV of participants****(maximum 150 words):***
• **Research team:** ***(name, status: senior researcher, young researcher <40 years, PhD, student; person/months)***	

- **Summary of the project: background and rationale, goal and scientific objectives, research methodology, expected outcomes, the perspective for further cooperation** ***(max 5 pages)***

- **Funding**

	1st year	2nd year	National project code (if available)
From CNRS			
From SRNSF			
Other sources			

- **Planned exchanges****

Originating organization	Name(s) of exchange researcher(s)	Expected dates & duration

- **Planned participation to conferences, workshops, summer schools**

- **Planned technology transfers, software, patents and licences, contracts with industry**

Do not fill

- **Project evaluation (by CNRS)**

A	B	C

- **Evaluators comments**

Name of the director of the CNRS laboratory/institution **Signature**	**Signature of the CNRS project leader**	**Date :**
Name of the director of the Georgian research organisation **Signature**	**Signature of the Georgian project leader**	**Date :**

If needed, the complete CV could be addressed as a joined document
***** the visiting scientist shall sign a non disclosure agreement upon arrival in the hosting laboratory.***

Project budget*

#	Category of costs	First instalment	Second instalment	Total
1	Personnel costs			
2	Travel costs			
	Domestic			
	Abroad			
Total				

*) Each party requests submission of project budget in compleance with it's own rules and regulations

Time table of activities*

(Please prepare the table in compliance with your activities (the table below is just a tamplate)

	Activities	Quarters							
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1.	*Preparatory work*								
2	*Researc conducted in Georgia*								
3.	*Researc conducted in CNRS*								
4.	*Travel abroad*								
5.	*Domestic travel*								
6.	*Analysis of research outcomes and preparation of publications*								
7.	*Reporting**				*XXX*				*XXX*

*) Each party requests submission of periodical repors in compleance with it's own rules and regulations

CV of the project participant

(max. 2 pages)

1. **Name, Surname**
2. **Education***

	Years	Name of University / Higher Educational Institution	Specialty	Academic Degree
1				
2				

3. **Work Experience***

	Years	Position	Name of the Department/Faculty	Name of the Organization
1				
2				

4. **List of key publications (max. 5)***

	Years	Title	Name, volume, # of journal (publishing house)	Type of publication (article, monograph, textbook)
1				
2				

5. **List of inventions, patents (max. 5)***

	Year	Title	The country of patenting
1			
2			

6. **Participation in the projects granted by international funds & programmes (max. 5)***

	Years	Role in the project	Title of the Project	Funding source
1				
2				

7. **Participation in International Scientific Forums (max. 5)***

	Years	Name of Event	Title of the Presentation	Venue
1				
2				

8. **Languages (please mark respective graph)**

	Language	Intermediate	Good	Fluent
1.				
2.				

9. **Additional Information (awards, fellowship, membership in various scientific associations, etc.)**

*** In case of necessity add the rows**